



EECMD

EASTERN EUROPEAN CENTRE
FOR MULTIPARTY DEMOCRACY

კითხვარი საპრეზიდენტო კანდიდატისთვის

გთხოვთ, უპასუხოთ ქვემოთ ჩამოთვლილ შეკითხვებს. თითოეული პასუხი არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას. თქვენ შეგიძლიათ არ უპასუხოთ ზოგიერთ შეკითხვას.

- 1. ზოგადი ხედვა:** რა გესახებათ თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ყველაზე დიდ ამოცანად?
- 2. განათლება:** როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ? როგორ პოლიტიკას უჭერთ მხარს დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?
- 3. გადასახადები:** თქვენი აზრით, როგორი საგადასახადო სისტემაა მისაღები საქართველოსთვის და რა პრინციპით უნდა განისაზღვრებოდეს საშემოსავლო გადასახადი?
- 4. ეკონომიკა:** როგორია თქვენი ხედვა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად?
- 5. დასაქმება:** თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ უნდა გადადგას უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად?
- 6. ჯანდაცვა:** რა პოლიტიკასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს დაუჭერდით მხარს რათა გაიზარდოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ამაღლდეს მისი ხარისხი?
- 7. სოციალური უსაფრთხოება:** რა პოლიტიკას დაუჭერდით მხარს სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მისაღწევად?
- 8. ნარკოპოლიტიკა:** ქვეყანაში მნიშვნელოვანი დისკუსია მიმდინარეობს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს ნარკოპოლიტიკა. როგორია თქვენი ხედვა ამ საკითხზე?
- 9. ადგილობრივი თვითმმართველობა:** თქვენი აზრით, რა პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში?
- 10. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები:** რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამთ ხალხთა შორის ნდობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის?
- 11. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში:** გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) და პოზიცია ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გაზრდისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.
- 12. ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებები:** როგორია თქვენი ხედვა ეროვნული თუ რელიგიური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრაციის თაობაზე?
- 13. სექსუალურ უმცირესობათა უფლებები:** რას ფიქრობთ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საკითხზე?

Eastern European Centre for Multiparty Democracy - EECMD

ადმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის

ლუარსაბ შარაშიძის ქ. #7. 0179. თბილისი, საქართველო

+995 322915650 / +995 322915651

contact@eecmd.org



EECMD

EASTERN EUROPEAN CENTRE
FOR MULTIPARTY DEMOCRACY

14. **გარემოს დაცვა/ეკოლოგია:** გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისაკენ.
15. **საგარეო პოლიტიკა და სტრატეგიული თანამშრომლობა:** რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?
16. **საქართველო და ევროკავშირი:** (თუკი ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ საქართველომ უნდა გააგრძელოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პოლიტიკა) თქვენი აზრით, რა უნდა იყოს საქართველოს შემდეგი ნაბიჯი ან დიპლომატიური ინიციატივა ევროინტეგრაციის გზაზე?
17. **რეგიონული თანამშრომლობა:** როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?
18. **თავდაცვის პოლიტიკა:** როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია? სამხედრო სამსახურის როგორ ფორმას უჭერთ მხარს?
19. **უსაფრთხოების პოლიტიკა:** როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

Eastern European Centre for Multiparty Democracy - EECMD

აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის

ლუარსაბ შარაშიძის ქ. #7. 0179. თბილისი, საქართველო

+995 322915650 / +995 322915651

contact@eecmd.org